

პატრიკ სერიო

სტრუქტურა და მთლიანობა

სტრუქტურალიზმის ინტელექტუალური
საფუძვლები ცენტრალურ და აღმოსავლეთ
ევროპაში: 1920-30-იანი წლები



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2015

სერია „მოდერნულობის ისტორია და თეორია“

სერიის რედაქტორი: გიგა ზედანია

ტომი 8: პატრიკ სერიო

სტრუქტურა და მთლიანობა

სტრუქტურალიზმის ინტელექტუალური საფუძვლები

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში: 1920-30-იანი წლები

**თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო
თინათინ ბოლქვაძემ**

© 2015 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISSN 1987-9407

UDC(უაკ) 7.035.93

მ-804

ISBN 978-9941-18-237-2

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

პატრიკ სერიო	vii
წინასიტყვაობა – თინათინ ბოლქვაძე	ix

შესავალი

სიახლე და ცენტრის მოშლა.....	1
სამი დიდი ენათმეცნიერი	4
„აღმოსავლეთიდან მოსული იდეები“	7
ტრადიციები	10
დამატებითობა	12

პირველი ნაწილი

საკითხის თანამედროვე მდგომარეობა

თავი I საზღვრები და ჩარჩოები	17
საზღვრები დროში: ხდება თუ არა ენათმეცნიერებაში პარადიგმების ცვლა?	17
სივრცული საზღვრები: რუსული მეცნიერება და ევროპული მეცნიერება – ერთიანობა თუ სხვაობა	20
ზღვარი მეცნიერებასა და იდეოლოგიას შორის. შედარებითი ეპისტემოლოგიის ჩანაფიქრი	27
ორმაგი სპირალი.....	28
თავი II ევრაზიული მოძრაობა	31
მოძრაობის ორგანიზაცია და პოლიტიკა: ისტორიული ასპექტები	33
ევრაზიელთა მოძღვრება: ზოგადი შეფასება	38
უნივერსალიზმის საპირისპიროდ: თვითმყოფადობა	38
საკუთარი თავის ძიება: ეკუმენიზმის შეუძლებლობა	41
საერთო ცივილიზაციის საპირისპიროდ: ცალკეული კულტურები	43
კულტურის არეალური კონცეფცია	51
დემოკრატიის საპირისპიროდ: იდეოკრატია	54
ისტორიის ფილოსოფია	56
არარსებული საზღვრები, წარმოსახვითი საზღვრები	59
გეოგრაფიზმის იდეოლოგია.....	59

მონღოლური მირაჟი ანუ თვითგამორკვევის პარადოქსი	72
სხვისი სახეები: ევროპა თუ აზია, ბურჟუაზიულობა	
თუ თანამედროვეობა	74

მეორე ნაწილი
დახშულობა

თავი III სივრცობრივი ფაქტორი.....	79
მოკლე შესავალი პრობლემის გასარკვევად.....	81
ფონოლოგიური ენობრივი კავშირების	
იაკობსონისეული ანალიზი	85
მეტაფორა „ცხიმის ლაქა“	95
ენობრივი ოჯახების განაწილება	95
სისტემა და კავშირი	105
თავი IV წყვეტილობა და უწყვეტობა	113
დახშულობა	114
ორგანიციზმი	114
პოზიტივიზმი	119
შეუძლებელი დახშულობა	122
ი.შმიდტი: ენები, როგორც წრეები წყალზე.....	127
გეოლინგვისტიკა: ყველა თვისება უნიკალურია,	
ყველა ფაქტს თავისი კანონი აქვს	128
ჟ. ანსელი: ლინგვისტიკით დაინტერესებული გეოგრაფი	133
კომპრომისის მცდელობა: „მიახლოებითი დამთხვევის“	
ცნება.....	134
სინთეზი თუ წარსულთან დაბრუნება: თანაკვეთის თეორია.....	136
გერმანიაში: ტ. ფრინგსი.....	136
საფრანგეთში	137
პრალის ლინგვისტური წრე: ცისარტყელა და დახურული	
სისტემები	138
სად იწყება და სად მთავრდება საგნები?	140
თავი V ევოლუციონიზმი თუ დიფუზიონიზმი?	141
მარიზმი.....	142
გარეგნულად დაპირისპირებული თეორიების	
დაახლოებისათვის	145

ფილოსოფიური კატეგორიები.....	147
ყოფიერება.....	147
სივრცე.....	152
დრო.....	155
მსგავსებათა გამოცანა.....	165

მესამე ნაწილი ბუნება

თავი VI დანათესავება.....	173
მსგავსების ორი გზა.....	174
საზღვრების პრობლემა.....	174
დაკანონებული დაახლოება: კავშირის იურიდიული და ანთროპოლოგიური გაგება.....	175
შინაგანი კავშირი და გარეგანი მიზიდულობა: ალქიმიიდან ქიმიისაკენ.....	176
შეუძლებელი ტაქსონომია: ბიოლოგიური ცნებები.....	181
უხერხული ორაზროვნება: შექცენილი თუ თავდაპირველი ენობრივი მსგავსება.....	184
გადასვლა ევოლუციონისტური მოდელიდან დიფუზიურ მოდელზე.....	185
ფონოლოგიური საშუალებები იაკობსონის თეორიაში.....	189
თავი VII ბიოლოგიური მოდელი.....	194
ტელეოლოგია თუ მიზეზობრიობა.....	195
ჰომოგენები თუ შემთხვევითობა.....	197
კონვერგენცია თუ დივერგენცია.....	204
თევზები და ვეშაპები.....	204
ჯაჭვები და აგურები.....	205
ორგანული მეტაფორა.....	210
თავი VIII შესაბამისობების თეორია.....	212
განვითარების ადგილი: არადეტერმინირებული ობიექტი?.....	212
„დაკავშირების მეთოდი“.....	220
ენა, კულტურა და ტერიტორია: ხალხთა ფსიქოლოგია.....	224
განვითარების ადგილი და ფონოლოგია.....	227

წესრიგი და ჰარმონია	230
გეოგრაფია გეომეტრიული თვალსაზრისით	233
პერიოდული სისტემა.....	250


მეოთხე ნაწილი

მეცნიერება

თავი IX პერსონოლოგია და სინთეზი მეცნიერებაში.....	255
სინთეზური მეცნიერება	255
ორი სამყარო – ორი მეცნიერება	255
ახალ იდეოლოგიას – ახალი მეცნიერება.....	258
ანალიტიკური მეცნიერება და სინთეზური მეცნიერება	260
თვალსაზრისის პედაგოგიკა.....	268
პერსონოლოგია	271
პიროვნების ფილოსოფია	272
ინდივიდი და კოლექტივი.....	274
შემეცნება და სუბიექტი	277
ენა და პიროვნება.....	278
თავი X ჰოლიზმი: რა არის მთლიანობა?	279
სარკის მეორე მხარეს.....	279
პოზიტივიზმი და ჰოლიზმი	280
ნატურალიზმის პრობლემა	285
ობიექტი მოცემული – ობიექტი აგებული	299
სტრუქტურა თუ მთლიანობა?.....	302
დასკვნა	307
დანართი	314
ლინგვისტური გეოგრაფიის საფუძვლები, მათი გამოყენება და მიმართება ეთნოგრაფიულ გეოგრაფიასთან სლავურ ტერიტორიაზე.....	314
ბიბლიოგრაფია	316
სახელთა საძიებელი	336

პატრიკ სერიო

ლოზანის უნივერსიტეტის (შვეიცარია) პროფესორი პატრიკ სერიო დიდი ხანია, რაც ენათმეცნიერების ისტორიის პრობლემებს იკვლევს. განსაკუთრებით ცნობილი გახდა მისი წიგნი პრალის სტრუქტურალიზმზე, რომლის ქართულ თარგმანსაც ვთავაზობთ მკითხველს. ეს ნაშრომი აჯამებს ავტორის მრავალწლიან შრომას ენათმეცნიერების ისტორიისა და ეპისტემოლოგიის, ენათმეცნიერებისა და სხვა დარგების ურთიერთგავლენის კვლევის სფეროში. პატრიკ სერიოს შრომებს შორის ასევე გამოირჩევა წიგნი „რუსული პოლიტიკური დისკურსის ანალიზი“ (1985), რომელსაც გამოცემის დღიდან მკითხველი არ მოჰკლდება.



როგორც ფრანგულენოვანი სლავისტი, მისივე ინტერპრეტაციით, მუშაობს „გადამზიდავად“ ორ კულტურას შორის. ფრანგულად თარგმნის რუს ენათმეცნიერთა შრომებს და ფართო სამეცნიერო ანალიზს ურთავს, ხოლო რუსულ ენაზე გადმოაქვს ფრანგ ლინგვისტთა ნაშრომები, მაგალითად, „აზრის კვადრატურა: დისკურსის ანალიზის ფრანგული სკოლა: 1960-1970“ პატრიკ სერიოს ხელმძღვანელობით შეიქმნა რამდენიმე თემატური კრებულები: „პრალის სკოლა: ეპისტემოლოგიური წვლილი“ (1994), „იაკობსონი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის: 1915-1939“ (1997), „ენა და ნაცია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში მეთვრამეტე საუკუნიდან დღემდე“ (1996). როგორც სლავისტი, რუსეთში ცნობილი გახდა ნაშრომებით: „მეოთხე პარადიგმის ძიებაში: ენის საზღვარი და კულტურის საზღვარი“, „ენათმეცნიერება და ბიოლოგია. სტრუქტურალიზმის სათავეებთან: ბიოლოგიური დისკუსია რუსეთში“.

პატრიკ სერიომ ლოზანის უნივერსიტეტში დაარსა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ენათმეცნიერების ისტორიისა და ეპისტემოლოგიის ლაბორატორია. ეს სამეცნიერო ცენტრი მნიშვნელოვან როლს თამაშობს თვით ამ დიდ და იდეური თავალსაზრისით წინააღმდეგობრივ რეგიონში შექმნილი ენათმეცნიერული ნაშრომების ჯერ შეგროვებისა და შემდეგ კი მათი ყოვლისმომცველი კვლევის საქმეში.

წინასიტყვაობა

პრალის ლინგვისტური წრის დამსახურება ენათმეცნიერების წინაშე არის ფონოლოგიის საფუძვლების შექმნა. რაც უნდა გასაკვირი იყოს, ეს დიდი საქმე პოლიტიკური ინტერესებით დაიწყო. პატრიკ სერიოს წიგნის დასკვნა ასე მთავრდება: „ისინი ინდოეთს ეძებდნენ და ამერიკა აღმოაჩინეს“ (სერიო 2001). რა იგულისხმება ამ მეტაფორაში? რა იყო პრალის ლინგვისტური წრის ყველაზე ცნობილი წევრებისათვის „ინდოეთი“ და როგორ მიადგენენ ისინი „ამერიკის“ ნაპირებს?

პრალის ლინგვისტური წრე ჩვენ მეცნიერებთან ერთად შექმნეს რუსეთიდან ემიგრირებულმა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციასთან დაპირისპირებულმა თეთრგვარდიელმა ინტელექტუალებმა. მართალია, ისინი ენათმეცნიერულმა ინტერესებმა გააერთიანა, მაგრამ რუსეთიდან ემიგრირებულ ინტელექტუალებს უფრო დიდი გეგმები ჰქონდათ – ახალი ევრაზიული სახელმწიფოს შექმნა, რომელიც დაეყრდნობოდა მეცხრამეტე საუკუნის რუსეთის იმპერიის ტერიტორიას, მაგრამ უპასუხებდა ახალი საუკუნის მოთხოვნებს. ეს იმპერიული მიზანი ნაკლები იყო რომანულ-გერმანიკული ხალხების სიძულვილით, რაც კარგად გამოჩნდა ნიკოლოზ ტრუბეცკოის საპროგრამო წერილში „ბაბილონის გოდოლი და ენათა აღრევა“ (ტრუბეცკოი 1923). სხვათა შორის, ძნელი სათქმელია, რას გულისხმობდა ტრუბეცკოი „ენების აღრევაში“ – იმას, რასაც თანამედროვე ენათმეცნიერება ნარევი ენებს უწოდებს და დღეს არსებობს პიჯინ- ან კრეოლური ენების სახით, თუ იმ შინაარსით იყენებდა, რომელსაც გულისხმობენ „ენათა აღრევაში“ ბაბილონის გოდოლის ამბის აღმოსავლური ქრისტიანობის წმინდა მამები: „მას ჟამსა განყოფამან მან ენათამან საქმენი ცუდნი განაქარგნა; ხოლო აწ ენანი, რომელნი მომეცნეს, საქმენი ჭეშმარიტებისანი დაამკიცნეს და აღავსნეს; მუნ მოეცნეს, რაითა ზრახვანი უკეთურნი განაქარგნეს, და აქა მოეცნეს, რაითა კეთილი ღმრთისა ნება ქადაგონ. მას ჟამსა მისთვის, რაითამცა არა ისმინეს ენა იგი ურთიერთასი, და აწ მისთვის, რაითა აღიშენებოდა ბოროტად, და აქა მომეცნეს ენანი, რაითა დაემხუნენ ცოდვანი, რომელნი აღიშენებიან საცთურად. და გამოვიდეს ენანი შემდგომად ენათა, რაითა შემოიყვანნეს იგინი სახლსა ცხოვრებისასა“ (სინური მრავალთავი). სწორედ ამ იდეას ავითარებს ნიკოლოზ ტრუბეცკოიც: ბაბილონის გოდოლის ამბით წმინდა წერილი გვიხატავს ერთ ენაზე მოლაპარაკე, მასასადამე, ლინგვისტურად და კულტურულად სრულიად ერთგვაროვან კაცობრიობას. და, როგორც ირკვევა, ეს ერთიანი, ყოველგვარ ინდივიდუალურსა და ეროვნულს მოკლებული საკაცობრიო კულტურა ძალზე ცალმხრივია. განვითარებული მეცნიერებისა და ტექნიკის ფონზე (რაზეც მეტყველებს თვით ასეთი მშენებლობის ჩანაფიქრი), მას ახასიათებს სულიერი

წინასიტყვაობა

სიცარიელე და ამორალობა. სწორედ ამ თვისებათა წყალობით ვითარდება თვითკმაცოფილება და კადნიერება, რაც გამოიხატება უღმერთო და იმავდროულად უაზრო ჩანაფიქრში. ბაბილონის გოდოლი ტექნიკის საოცრებაა, მაგრამ მას რელიგიური შინაარსი არა აქვს, პირიქით, ანტირელიგიური და მკრეხელურია. ღმერთმა ამ ჩანაფიქრის განხორციელების შესაჩერებლად, კაცობრიობის მკრეხელური თვითნებობის ასალაგმად არია ენები, ანუ სამუდამოდ დაამკვიდრა ეროვნული დაყოფისა და ეროვნულ ენათა და კულტურათა სიმრავლის კანონი. ეს ღვთაებრივი აქტი, ერთი მხრივ, გვაჩვენებს, რომ ერთფეროვანი, ეროვნულად დაუნაწევრებელი საკაცობრიო კულტურა გარდაუვლად მიდის ასეთ უღვთო ტექნიკურ თვითნებობამდე და, მეორე მხრივ, იმაზე მიგვითითებს, რომ მხოლოდ ეროვნული კულტურებია თავისუფალი ადამიანთა ამო სიამაყისაგან. მხოლოდ მათ შეუძლიათ ატარონ კაცობრიობა ღვთისგან დასახული გზებით“ (ტრუბეცკოი 1995). ასეთი მსჯელობის გვერდით ტრუბეცკოი ავითარებდა აზრს, რომ ენები ხანგრძლივი გეოგრაფიული სიახლოვისა და თანაცხოვრების შედეგად იძენენ საერთო თვისებებს, რომლებიც განსხვავდება მონათესავე ენებისათვის დამახასიათებელი მსგავსებებისაგან. სწორედ ამ წერილში (ტრუბეცკოი 1923) ახსენა პირველად ნიკოლოზ ტრუბეცკოიმ ენობრივი კავშირის ცნება, რომელიც დაუპირისპირა მონათესავე ენათა ოჯახის იდეას.

ამის პარალელურად გეოგრაფი პეტრე სავიციკი ავითარებდა იდეას, რომ „მცენარეული საფარის, ფესვთა სისტემისა და კლიმატური პირობების მიხედვით ევრაზია წარმოგვიდგება განსაკუთრებულ, თავისებურ და მთლიან გეოგრაფიულ სამყაროდ“ (სავიციკი 1927ა; 1927ბ). რომან იაკობსონი აღტაცებული იყო პეტრე სავიციკის შრომებით, რომლებშიც „სინთეზური სიცხადით“ გადმოცემულ დასკვნებს (იაკობსონი 1931ა) რომან იაკობსონი ლინგვისტურ ახსნას უძებნიდა, რასაც ვერ ვიტყვით ნიკოლოზ ტრუბეცკოიზე, რომელსაც არასოდეს ზოგადად ლინგვისტური ან საკუთრივ ფონოლოგიური ნაშრომი არ დაუწერია ამ საკითხზე, თუმცა ყოველთვის დიდი მონდომებით აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებსა და ესეებს ევრაზიის და ევრაზიულობის შესახებ და საერთოდაც, არის ამ თეორიისა და მოძრაობის ერთ-ერთი დიდი მამა.

რომან იაკობსონმა სპეციალური მოხსენება წაიკითხა პრალის ლინგვისტური წრის სხდომაზე ევრაზიის ფონოლოგიური კავშირის შესახებ (იაკობსონი 1931ბ), რასაც მოჰყვა პეტრე სავიციკის აღფრთოვანებული წერილი „უწყება აღმოჩენის თაობაზე“ (სავიციკი 1931). გახარებული გეოგრაფი მკითხველებს აუწყებდა, რომ ბოლოს და ბოლოს მეცნიერულად დამტკიცდა ის, რასაც ამდენ ხანს ელოდა, რომ არსებობს კორელაცია გეოგრაფიულ და ენობრივ მოვლენებს შორის. ისეთი ობიექტური მეცნიერება, როგორც ლინგვისტიკაა, ამტკიცებდა ევრაზიის ენობრივ ერთობას, რაც გეოგრაფის

თქმით, „ზრდიდა ევრაზიული მეცნიერების ექვმიუტანლად არსებობის მათემატიკურ ხარისხს.“ ვნახოთ, რას ეყრდნობოდა რომან იაკობსონი, როცა ევრაზიულ ენობრივი კავშირის ფონოლოგიურ საფუძვლებს ეძებდა. მან გამოყო ორი ნიშანი, რომლებიც, მისი აზრით, ახასიათებდა ევრაზიის ენებს: თანხმოვანთა სირბილის კორელაცია და მონოტონურობა, ანუ ტონის თვალსაზრისით გაუდიფერენცირებლობა ერთი ენის ფარგლებში. იაკობსონმა მიიღო მოულოდნელი დასკვნები: არა მხოლოდ ერთი მონათესავე ოჯახის შიგნით სხვაობენ ენები პოლიტონურობა-მონოტონურობის თვალსაზრისით, არამედ ერთი და იმავე ენის დიალექტებიც კი განსხვავებულ ბუნებას ავლენენ. ის, რაც ჩვენ გვაკვირვებს, ძალიან ბუნებრივ დასკვნად მიაჩნდა გეოლოგ პეტრე სავიცკის, რომელსაც ასეთი მახასიათებლები ენათა ნათესაობის პრინციპის დამჯაბნველ თვისებებად მიაჩნდა. რომან იაკობსონის იმ დროისთვის ჯერ კიდევ შესამოწმებელი ლინგვისტური დასკვნები მისთვის პოლიტიკური გეოგრაფიის საფუძვლად იქცა. „ზოგიერთი ენა ადგება „ევროპეიზაციის“ გზას იმიტომ, რომ უარს ამბობს ევრაზიულ ნათესაობაზე.“ დიახ, გეოლოგი სავიცკის აზრით, ენები ირჩევენ ადგილს ევრაზიაში ან გადიან ამ ერთობიდან საკუთარი გადაწყვეტილებით თუ სხვათა გავლენით. ევრაზიული ენები არის იმ განსაკუთრებული ადგილის, ევროპასა და აზას შორის მდებარე ტერიტორიის, ევრაზიის ლინგვისტური მახასიათებელი, რომელსაც ყველაფერი განსაკუთრებული აქვს – მცენარეების ფესვთა სისტემიდან დაწყებული, გეოგრაფიული თვისებებით დამთავრებული. ასე „ერწყმიან“ ერთმანეთს ფიზიკური გეოგრაფიის მახასიათებლები და ენათა ცალკეული ფონოლოგიური დიფერენციალური ნიშნები ევრაზიულობის თეორიაში. მერე რა, თუ ნეიტრალური ან ობიექტური დამკვირვებელი ამას ვერ ხედავს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ასეთი კორელაცია არ არსებობს.

პეტრე სავიცკის სასიხარულო ახალი ამბავი, რომ „ლინგვისტიკა ევრაზიელობდა და არა ლინგვისტები“, როგორც მოსალოდნელი იყო, სწორი არ აღმოჩნდა. ეს გახლდათ სწორედ ცალკეული ლინგვისტების ევრაზიელობა და არა მკაცრი მეთოდით მომუშავე სამეცნიერო დისციპლინის ურყევი დასკვნა. თანხმოვანთა ფონოლოგიური სირბილის კორელაცია და გაუდიფერენცირებელი ტონი ის ნიშნებია, რომლებსაც უნდა მოეხაზა ევრაზიის კავშირის საზღვრები როგორც ლინგვისტური, ისე ფიზიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის თვალსაზრისით. ამ ნიშნების დარღვევა, თუ ის არ იძლეოდა სასურველ პოლიტიკურ გეოგრაფიას, იხსნებოდა სხვადასხვაგვარად. აი მაგალითად, რა ინტერპრეტაციას უკეთებს რომან იაკობსონი იმ ფაქტს, რომ ქართველურ ენებს არ ახასიათებთ თანხმოვანთა სირბილის კორელაცია: „ამიერკავკასიის ენებს – სომხურსა და ქართველურ (ქართულ) ჯგუფს არ ახასიათებს თანხმოვანთა ტემბრული სხვაობა. ეს მიუთითებს ამ

წინასიტყვაობა

მხარის გარდამავალ ხასიათზე როგორც გეოგრაფიული, ისე ეთნოგრაფიული თვალსაზრისით – ევრაზიიდან მეზობელი მიმართულებით:

სომხური და ქართველური არ ამჟღავნებს იმ ნიშნებს, რომლებიც აუცილებელია რომან იაკობსონის წარმოსახვით შექმნილი ევრაზიული ფონეტიკური კავშირისთვის, მაგრამ ეს იხსნება „ამ მხარის გარდამავალი ხასიათით“: იქვე მითითებულია გარდამავლობის მიმართულება – ევრაზიიდან მეზობელი მიმართულებით და არა პირიქით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ევრაზიული არ არის, მაგრამ ევრაზიულობიდან მიემართება მეზობლებისაკენ. ეს აზრი სხვაგანაც მეორდება: „ევრაზიული კავშირის ენების ფონოლოგიურ კორელაციებს ახასიათებს ორი თვისების ერთიანობა... ევრაზიის კავკასიური პერიფერიის გარდა.“ სრულიად ცხადია, რომ ევრაზიული ბუნებისა არ არის ქართული, მაგრამ იგი მაინც ხვდება „ევრაზიის პერიფერიაში“; რადგან უამისოდ დაირღვევა ევრაზიულობის თეორეტიკოსთა პოლიტიკური გეოგრაფია. ასე აღმოჩნდა ფონეტიკა პოლიტიკის მხევალი.

პოლიტიკური გეოგრაფიის პირველადობა სხვა მეცნიერულ თეორიებთან შედარებით კარგად გამოჩნდა მაშინაც, როცა „ფონოლოგიის საფუძვლების“ შემქმნელი ნიკოლოზ ტრუბეცკოი ეძებდა ისეთ ფაქტორებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის სოციალისტური რესპუბლიკების გაერთიანებიდან ნაციონალურ ერთობად გარდაქმნიდა. „არსებითად საბჭოეთს შეადგენს არა იმდენად ხალხები, რამდენადაც ამ ხალხთა პროლეტარიატი... პროლეტარიატის დიქტატურა, პროლეტარიატის სოლიდარობა და კლასობრივი უშულის გაღვივება მხოლოდ დროებითა და დიდი ხნით ვერ შეაჩერებს საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაციონალისტურ და სეპარატისტულ იდეებს... სახელმწიფოს მყარი და მუდმივი გაერთიანების საფუძველი უნდა იყოს ნაციონალური სუბსტრატი. ამიტომ იმ სახელმწიფოს, რომელსაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ჰქვია, ნაციონალური სუბსტრატი შეიძლება იყოს მასში მოსახლე ყველა ხალხის ერთიანობა, რომელიც უნდა განვიხილოთ როგორც თავისი ნაციონალიზმის მქონე განსაკუთრებული მრავალხალხოვანი ერი (многонародная нация). ამ ერს ჩვენ ვუწოდებთ ევრაზიულს, – წერს ნ. ტრუბეცკოი, – ტერიტორიას ევრაზიას, მის ნაციონალიზმს – ევრაზიელობას. ევრაზიის (იგულისხმება საბჭოთა კავშირი, – თ.ბ.) ცალკეული ხალხის ნაციონალიზმი კომბინირებული უნდა იყოს საერთოევრაზიულ ნაციონალიზმთან ანუ ევრაზიელობასთან... საერთოევრაზიულ ნაციონალიზმში უნდა შეირწყას ევრაზიის ხალხთა ნაციონალიზმები... აუცილებელია, რომ ევრაზიის ხალხთა ძმობა გაცნობიერებულ და თან არსებით ფაქტად იქცეს... (ამ მიმართულებით, – თ.ბ.) რუსმა ხალხმა, რომელიც რევოლუციამდე რუსეთ-ევრაზიის ტერიტორიის ერთადერთი პატრონი იყო, ახლა კი პირველია რაოდენობისა და მნიშვნელობის თვალსაზრისით ევრაზიის ხალხებს შორის, რა თქმა უნდა, სხვებს მაგალითი უნდა

მისცეს“ (ნ. ტრუბეცკოი 1927). ტრუბეცკოის „მრავალხალხოვანი ერი“ შეიძლება ითქვას „საბჭოთა ხალხია“, რომლის დამკვიდრებას და რუსი ხალხის წინამძღოლობით ერთ მთლიანობად გარდაქმნას სსრკ უმთავრეს მიზნად ისახავდა. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ევრაზიული მოძრაობის საბჭოეთის მიერ გადაბირებული ნაწილი თავისი პროპაგანდით საერთოდ არ განსწავდებოდა საბჭოთა კავშირის დეკლარირებული მიზნებისაგან (იხ. რუსულენოვანი გაზეთი „ევრაზია“).

უეჭველია, რომ ევრაზიულობის თეორიამ უბიძგა ნიკოლოზ ტრუბეცკოის ინდოევროპულ ენათა თავდაპირველ ერთიანობაში შეეტანა ეჭვი და დაეშვა, რომ ინდოევროპული ფუძეენიდან კი არ მივიღეთ მისი დიალექტების დროსა და სივრცეში განშლით თანამედროვე ინდოევროპული ენები, არამედ ხანგრძლივმა კავშირმა წარმოშვა ამ ენების საერთო ნიშნები: „არ არსებობს საფუძველი, რომელიც გვავარაუდებინებს ერთიანი ინდოევროპული ფუძეენის არსებობას, საიდანაც შემდეგ განვითარდა ყველა ინდოევროპული ენა. სრულიად შესაძლებელია საწინააღმდეგო სურათის წარმოდგენა – ინდოევროპულ ენათა შტოების წინაპრები თავიდან ერთმანეთს არ ჰგავდნენ და მხოლოდ დროთა განმავლობაში განუწყვეტელმა კონტაქტებმა, ურთიერთგავლენებმა და სესხებამ ისინი მნიშვნელოვნად დაახლოვა, მაგრამ არც ისე, რომ სრულად დამთხვეოდნენ ერთმანეთს“ (ნ. ტრუბეცკოი 1958:67). როგორც არამონათესავე ენების ხანგრძლივმა ურთიერთობამ წარმოშვა მონათესავე ოჯახი, ასევე საბჭოურ ენათა კონგლომერატსაც შეიძლებოდა შეექმნა ენობრივი ერთიანობა.

ამ სახით ნიკოლოზ ტრუბეცკოის ეს აზრი არსად არ ჩამოყალიბებია, თუმცა მისი ნაწერების გულდასმით კითხვა პეტრე სავიციკისა და რომან იაკობსონის პრალის პერიოდის ნაწერებთან ერთად ბუნებრივად მიგვიყვანს იმ მეტაფორამდე, რომლითაც დავიწყეთ – პატრიკ სერიოს დასკვნამდე: „ისინი ინდოეთს ეძებდნენ და ამერიკა აღმოაჩინეს.“ რუსეთიდან პრალაში ემიგრირებული მოაზროვნეები ესწრაფოდნენ ევრაზიულობის თეორიის მწყობრი და რეალისტური თეორიის შექმნას, მაგრამ ისინი მივიდნენ ზოგად ფონოლოგიამდე, რაც ნამდვილად იქცა იმავე ღირებულების მიღწევად ენათმეცნიერებაში, როგორიც ამერიკის აღმოჩენა იყო გეოგრაფიისათვის.

ქართველი ენათმეცნიერებისთვის პრალელ სტრუქტურალისტთა ნაშრომებს დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ქართული ფონეტიკისათვის. მართალია, სადავო პოლიტიკურ თეორიას დაუდეს სათავე პრალის ლინგვისტურ წრეში, მაგრამ არასოდეს სადავო არ გამხდარა მათი მიღწევები ფონოლოგიაში. მაშინ, როცა პრალის ლინგვისტური წრის წევრები, ერთი მხრივ, ავითარებდნენ წმინდა ფონოლოგიურ მოძღვრებას და, მეორე მხრივ, საბჭოეთის განვითარების ახალ, ევრაზიულ თეორიას, საბჭოთა

წინასიტყვაობა

ენათმეცნიერება ვითარდებოდა დამოუკიდებლად, უცხოელ კოლეგებთან მინიმალური ურთიერთობის პირობებში. საბჭოეთის დროს იდეოლოგიური წნეხის გამო ენათმეცნიერები დაგვიანებით, ან საერთოდ ვერ ეცნობოდნენ თავიანთი თანამედროვე უცხოელი ენათმეცნიერების ნაშრომებს, რაც განაპირობებდა საბჭოთა ენათმეცნიერების ჩაკეტილობას, ხელს უშლიდა ლინგვისტური იდეებისა და თეორიული სიახლეების ურთიერთგაზიარებას განსაკუთრებით საბჭოთა და ევროპელ ენათმეცნიერებს შორის.

მაგალითად, ძნელია იმის თქმა, იცნობდა თუ არა გიორგი ახვლედიანი პრადის ლინგვისტური წრის მიღწევებს ფონოლოგიაში. სმენოდა თუ არა მას იმის შესახებ, რომ 1928 წელს ჰააგაში ლინგვისტთა პირველ საერთაშორისო კონგრესზე სამი რუსი ენათმეცნიერი პრადის ლინგვისტური წრის სახელით – რომან იაკობსონი, სერგეი კარცევსკი და ნიკოლოზ ტრუბეცკოი – წარდგინენ ფონოლოგიის სპეციალური პროგრამით, რასაც 1929 წელს პრადის ლინგვისტური წრის შრომების ორი ტომი მოჰყვა (Travaux du Cercle Linguistique de Prague). დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ პრადელი ფონოლოგები არ იცნობდნენ გიორგი ახვლედიანის ძალიან მაღალი სამეცნიერო მნიშვნელობის ნაშრომებს ზოგად და ექსპერიმენტულ ფონეტიკაში ისევე, როგორც მის სტატიებს ინდოევროპულ და ინდოირანულ ენათმეცნიერებაში. რომ არა რუსეთის 1917 წლის რევოლუცია და მისი შედეგები, სრულიად შესაძლებელი იყო, გიორგი ახვლედიანი, ნიკოლოზ ტრუბეცკოი, სერგეი კარცევსკი და რომან იაკობსონი სხვა კოლეგებთან ერთად შეხვედროდნენ ერთმანეთს რომელიმე სამეცნიერო ფორუმზე მაინც.

როგორცა ჩანს, გიორგი ახვლედიანი მხოლოდ მას შემდეგ გაეცნო ნიკოლოზ ტრუბეცკოის ნაშრომს – „ფონოლოგიის საფუძვლებს“, რაც იგი ითარგმნა გერმანულიდან რუსულად და გამოიცა საბჭოთა კავშირში. მანამდე გიორგი ახვლედიანი დამოუკიდებლად ავითარებდა თავის მოსაზრებებს ქართული ენის თანხმოვანთა სამეულებრივ სისტემაზე. მის მიერ გამოთქმული შეხედულებანი ქართული ენის თანხმოვანთა კლასიფიკაციის შესახებ ჩამოყალიბებულია 1922-1926 წლებში გამოქვეყნებული სტატიებში (რომლებიც შემდეგ შევიდა სახელმძღვანელოში „ენათმეცნიერების პროპედევტიკა და ზოგადი ფონეტიკა“ (1932) და ქართული ენის თანხმოვანთა სისტემის ნაწილი უცვლელად იბეჭდებოდა მისივე „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლებში“ (ბოლო გამოცემა – 1999). ამთავან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა 1923 წელს „თბილისის უნივერსიტეტის მოამბეში“ დაბეჭდილი სტატია ქართულში მკვეთრი ხშულების შესახებ.

გიორგი ახვლედიანმა თავიდანვე მიაქცია ყურადღება ქართული ენის თანხმოვანთა სისტემის ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს. ეს არის ყრუ აბრუპტივი თანხმოვნების არსებობა. თუ ერთმანეთს შევადარებთ ქართულ, რომანულ, გერმანიკულ და სლავურ ენებს, აშკარა გახდება, რომ

ინდოევროპულ ენებში გვაქვს ორი სახის წყვილელულები – ხშული თანხმოვნებით და ნაპრალოვანი თანხმოვნებით მიღებული წყვილელულები, ხოლო ქართულში ნაპრალოვნები ქმნიან წყვილელულებს, ხშულები და ხშულ-ნაპრალოვნები კი – სამეულელებს. 1959 წელს ახვლედიანი ერთმანეთს ადარებს ქართულ და ინდოევროპული ენების ხშულებს: „მაგალითად, სლავურ, რომანულ და გერმანიკულ წყვილელულებს „მჟღერი – ყრუ: b-p, d-t, g-k ქართულში შეესატყვისება თანხმოვანთა ჰომოგენური ტრიადები „მჟღერი – ყრუ ფშვინვიერი – აბრუპტივი“): ბ-ფ-ჰ; დ-თ-ტ; გ-ქ-კ. სამეულელებრივ სისტემასთან ერთად არსებობს თანხმოვანთა ოთხეულელებრივი სისტემა, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეულ რიგში შეიძლება იყოს ოთხი კომპონენტი: მჟღერი – ყრუ ფშვინვიერი – აბრუპტივი – პრერუპტივი. პრერუპტივი არსობრივად არის ყრუ ფშვინვიერი, ოღონდ ფშვინვა ამ შემთხვევაში მინიმალურია. პრერუპტივი უცხო არ არის არაკვკასიური ენებისათვის. იგი დაახლოებით ისეთივე ბგერაა, როგორც ინდოევროპული ენების ხშული ფშვინვიერები.“

გიორგი ახვლედიანის მსჯელობა ქართული ენის სამეულთა სისტემაზე ამჟღავნებს საოცარ მსგავსებას ნ. ტრუბეცკოის „ფონოლოგიის საფუძვლებში“ სპეციალურად განხილულ კორელაციისა და ფონემათა კორელაციური კონების მაგალითებთან. მას შემდეგ, რაც გაეცნო ტრუბეცკოის წარმოდგენებს ფონემათა კორელაციური კონების შესახებ, გიორგი ახვლედიანი დაინტერესდა თანხმოვანთა სამეულელებრივი სისტემების ძიებით სხვადასხვა ენებში (ამას ადასტურებს მრავალი ენის მონაცემები, რომლებიც სპეციალურად უგროვებია გიორგი ახვლედიანს). მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქართული და ძველი ბერძნული ენების თანხმოვანთა სისტემების მსგავსებას და დასვა საკითხი ამ ენათა მიმართების ახლებურად განხილვის თაობაზე, კერძოდ კი, ინდოევროპულ და ქართველურ ენათა ისტორიული ურთიერთობის შესახებ როგორც ტიპოლოგიური, ისე ენობრივი კავშირის ფარგლებში ენათა მიმართების თვალსაზრისით. გიორგი ახვლედიანს მოუშადადებია წინასწარი მოხსენება „ხშულ თანხმოვანთა სამეულელებრივი სისტემის შესახებ ქართულსა და ძველ ბერძნულში“, რომელიც არ არის ცალკე დაბეჭდილი, მაგრამ ინახება მის არქივში. სწორედ ამავე პერიოდში გიორგი ახვლედიანი ეცნობა რომან იაკობსონის ნაშრომს ტიპოლოგიური და ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების მიმართების შესახებ (იაკობსონი 1963) და სვამს საკითხს, რა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს ქართულის მსგავს სამეულელებრივ კორელაციურ კონებს – რად უნდა ჩაითვალოს ეს: ამ ენათა გენეტიკური ერთიანობის ნიშნად, მათი ურთიერთგავლენის შედეგად თუ უბრალოდ ტიპოლოგიურ მახასიათებლად. ახლა მხოლოდ შეიძლება დავუშვათ, რა განვითარებას მიიღებდა კავკასიური ენათმეცნიერება და საერთოდ ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება საბჭოთა კავშირში, რომ ყოფილიყო ცოცხალი ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყნის ენათმეცნიერებს შორის.

წინასიტყვაობა

რომან იაკობსონი, როგორც ჩანს, ახვლედიანის ნაშრომს ქართული და კავკასიური აბრუპტივების შესახებ გაეცნო მხოლოდ 1951 წელს ლ. შჩერბასადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებულიდან, რომელიც ლენინგრადში დაიბეჭდა, მაგრამ გიორგი ახვლედიანს ქართული ენის ბგერითი სისტემის, განსაკუთრებით კი, აბრუპტივი თანხმოვნების შესახებ გამოქვეყნებული აქვს შრომები 1922-1926 წლებში. მოგვიანებით რომან იაკობსონმა დაწერა სპეციალური ნაშრომი აბრუპტივების შესახებ, რომელიც დაიბეჭდა 1968 წელს მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ელექტრონული კვლევის ლაბორატორიის ევარტალურ ანგარიშში (იგი ინახება მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის არქივებისა და სპეციალურ კოლექციათა ინსტიტუტში). ნაშრომის სქოლიოში აღნიშნულია კვლევის დამფინანსებელი მხარეები: „This work was supported by the National Institutes of Health (Grant MH-13390-02) and the Joint Services Electronics Programs (U.S. Army, U.S. Navy, and U.S. Air Force) under Contract DA 28-043-AMC-02536(E)“; R. Jakobson, MC 72, Institute Archives and Special collection, MIT Libraries, Cambridge, Massachusetts, Box 18, Folder 18. ამ კვლევის ერთ მობრძიდ ნაწილში იაკობსონი მალალ შეფასებას აძლევს გიორგი ახვლედიანის წვლილს ქართული და კავკასიური აბრუპტივების კვლევის საქმეში. იაკობსონის ეს წერილი იმავე წელს შევიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ გიორგი ახვლედიანის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კრებულში, ხოლო მოგვიანებით იაკობსონმა იგივე წერილი შეიტანა თავისი შრომების (Selected Writings) პირველი ტომის მეორე გამოცემაში 1971 წელს.

კიდევ ერთხელ ნათელი ხდება, თუ როგორ მოქმედებს პოლიტიკური ფაქტორები მეცნიერების ამა თუ იმ დარგის განვითარებასა და მეცნიერთა ურთიერთობებზე. შეგონება, რომ მეცნიერება არ უნდა იყოს პოლიტიკის მხვეალი, ყოველთვის შეგონებად რჩება, მაგრამ ზოგჯერ ეს დაძაბულობა ქმნის დიდ მეცნიერულ თეორიებსა და მიმართულებებს. სწორედ ერთ ასეთ მიმართულებაზე გვიამბობს პატრიკ სერიოს ეს წიგნი, რომელიც იპოვის გზას ქართველი მკითხველების გულებისაკენ.

პატრიკ სერიოს მოკლე მეტაფორულ დასკვნას წინ უძღვის მსჯელობა ძალიან ფართო კულტუროლოგიურ ფონზე. ენათა კავშირის გაგების წარმოქმნის ფსევების ძიებიდან, ენებს შორის მსგავსებისა და განსხვავებების კვლევის დასაწყისიდან, ევრაზიულობის სადავო პოლიტიკური თეორიის ძირითადი პუნქტების ჩათვლით. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ სტრუქტურალიზმის ინტელექტუალური საფუძვლები ამ სიღრმით და მომცველობით არავის არ უკვლევია. ეს წიგნი საინტერესო გზებით ატარებს მკითხველებს ენათა ნათესაობის გენეალოგიური ხის დაწუნებული მეტაფორიდან, თანამედროვე ლინგვისტურ თეორიებამდე. წიგნში მსჯელობა მიდის ერთი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრის მცდელობის ფონზე – ხდება თუ არა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში რევოლუციები? მოსალოდნელია თუ არა

პარადიგმათა ცვლელადობა ენათმეცნიერებაში, რომელიც ყველაზე უფრო სისტემურია ჰუმანიტარულ დარგებს შორის. პატრიკ სერიო ეყრდნობა კუნის თეორიას. „მეცნიერება ანადგურებს თავის წარსულს.“ ეს შეფასება მიესადაგება აინშტაინს, რომელმაც ძალა დაუკარგა ნიუტონისა და გალილეის თეორიებს..., მაგრამ ენათმეცნიერების ისტორია ვერ ეტევა ამ ფორმულაში: არ არსებობს ლინგვისტური თეორია, რომელმაც წაშალა წინამორბედთა შრომა, მას მხოლოდ პრობლემების გადაჭრაში წინსვლა მოაქვს.“ როგორ განავითარეს პრალელმა ენათმეცნიერებმა წინამორბედების დანახული და ნაკვლევი პორბლემები, იმ წინამორბედებისა, რომლებსაც ზემოდან დაჰყურებდნენ, ზოგჯერ დასცინოდნენ კიდევ, მაგრამ ეს ჩიტები ამ ბუდიდან გადმოცვივდნენ და ციდან ნამდვილად არ ჩამოცვივნილან. როგორც პატრიკ სერიო წერს: „სტრუქტურალიზმი ციდან მეხივით არ დაგვცდომია თავს. მას აქვს წინა ისტორია, მიუხედავად ამ მოძრაობის იდეური ბელადების დეკლარაციებისა, რომ სტრუქტურალიზმი მთლიანად ემიჯნება წარსულს.“

მკითხველს ელის საინტერესო ნაშრომი, რომელშიც ლინგვისტური საკითხები ნაკვლევია ადგილის სულისა და დროის სულის (რომელიც ჩვენ დროის სულისკვეთებად ან ეპოქის სულისკვეთებად ვთარგმნეთ) ფონზე. ქართველი მკითხველისთვის შეიძლება ამ წიგნმა განსაკუთრებული მნიშვნელობაც კი შეიძინოს, რადგან აქ შესწავლილია ევრაზიულობის თეორიის ლინგვისტური და პოლიტიკური წანამძღვრები. შემთხვევითი არ არის, რომ პატრიკ სერიოს წიგნის რუსი მთარგმნელი ხაზგასმულად უწოდებს ევრაზიულობის თეორიას „აქტუალურ წარსულს“ და ის, რაც „აქტუალური წარსული“ გახდა რუსეთში, შეიძლება თავსმობვეულ პოლიტიკურ დოქტრინად მოგვევლინოს მის მეზობელ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. ამიტომ ღირს ქართველმა მკითხველებმა უფრო ახლოს განჩხრიკონ ამ თეორიის საფუძვლები და მიზნები. ეს სწორი თვალსაზრისის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. ამდენად, „სტრუქტურა და მთლიანობა“ საინტერესოა არა მხოლოდ ლინგვისტებისათვის, არამედ ყველა იმ ინტელექტუალისათვის, ვისაც აინტერესებს იდეათა ისტორია.

პატრიკ სერიოს წიგნი ნათარგმნია რუსულიდან. ეს არჩევანი გამოიწვია ორმა მიზეზმა: წიგნი, ძირითადად, ეფუძნება რუსულენოვან მასალას და რუსული პირველწყაროებიდან დამოწმებული ციტატების ძიება წიგნის ფრანგულ ორიგინალში საქმეს მხოლოდ გაართულებდა და, მეორე, რუსული თარგმანი, შეიძლება ითქვას, ავტორიზებულია, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი არჩევანისთვის. პატრიკ სერიოს წვლილი მიუძღვის თავისი წიგნის ქართულ თარგმანშიც, რადგან თარგმნისას ინტენსიური ურთიერთობა გვქონდა ავტორთან და ბევრი რამ შეთანხმებულია მასთან.

შესავალი

მეცნიერების ნათელი ველი არც ისეთი ნათელია,
როგორც გვეჩვენება
(გ. გუსდორფი 1993, ტ. II:265).

ოციან წლებში, ორ ომს შორის პერიოდში, როცა ხელოვნებაში, მეცნიერების სხვადასხვა დარგსა და პოლიტიკაში მრავალი რევოლუცია მოხდა; როცა სისხლისღვრა და სანგრები დასრულდა და ყველა თითქოს „დაღლილი იყო ძველი მსოფლიოსაგან“ (გ. აპოლინერი), რომან იაკობსონმა და ნიკოლოზ ტრუბეცკოიმ გამოაცხადეს ახალი ეპოქა მეცნიერებაში, ცოდნის ორგანიზების ახალი გზა იმათთვის, ვისაც ამის გაგონება სურდა. თან ამტკიცებდნენ, რომ ამ ახალ ცოდნას *ლოკალური წარმოშობა* ჰქონდა. ეს არის „რუსული მეცნიერება“, – წერდნენ ისინი. წინამდებარე ნაშრომი ამ ორი მტკიცების განხილვას ეძღვნება.

სიახლე და ცენტრის მოშლა

როგორ იბადება სიახლე მეცნიერებაში? როგორ ვიცნობთ იგი? ახალია თუ არა იაკობსონისა და ტრუბეცკოის მოსაზრებები? შეიძლება ითქვას თუ არა, რომ პრალის ლინგვისტური წრის სტრუქტურალიზმი მთლიანად დაშორდა წარსულს? არსებობს თუ არა იმის საშუალება, რომ განვსაზღვროთ, რამდენად დაშორდნენ ისინი წარსულს? შექმნეს თუ არა იაკობსონმა და ტრუბეცკოიმ სამეცნიერო დისკურსში წყვეტა? ან შესაძლებელია ამ სიახლის დანახვა იმ სივრცულ და კულტურული სიშორის გათვალისწინებით, რომელიც რუსეთს დასავლეთ ევროპისაგან ყოფს? იქნებ ეს პრალის, როგორც ევროპის ცენტრში კულტურული გავლენების გადაკვეთს წერტილის, მნიშვნელობითაა განპირობებული? და რადგან პარადიგმებს შორის დროის საზღვრების ზუსტად დადგენა ენათმეცნიერებაში თვით პარადიგმის ცნების ეფექტურობას ამცირებს, იქნებ შევძლოთ *სამეცნიერო კვლევის კულტურებს* (cultures scientifiques) (ჯერჯერობით ასე ვუწოდოთ) შორის სივრცული საზღვრების დადგენა? ასეთ შემთხვევაში ჩვენი ყურადღების ცენტრში მოექცევა იმ ობიექტთა საზღვრები, რომლებსაც მეცნიერები აგებენ.

მაგრამ თუ მეცნიერება იყოფა ლოკალურ ეპისტემებად, თუ იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ნაციონალურ კულტურებთან, მაშინ ეს რა მეცნიერებაა? ასეთი კითხვები ხშირად არ ისმოდა „დასავლეთში“¹ XX

1. პრალის სულიერი კლიმატის ძირითადი მახასიათებელი ორ ომს შორის პერიოდში იყო კულტურათა ურთიერთგავლენა. ამის შესახებ იხ. რეინო 1990

შესავალი

საუკუნის, ბოლოს თუმცა ტრუბეცკოსა და იაკობსონისთვის, ამ ორი ლინგვისტისთვის, რომლებმაც სახელი მოიხვეჭეს ენათმეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის – 20-30-იან წლებში ლოკალური ეპისტემების საკითხი სულაც არ იყო გასაკვირი, პირიქით, ამ საკითხზე ძალიან ბევრს მსჯელობდნენ. მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ თვითონ ტერმინი „დასავლეთი“ მეცნიერების ისტორიისთვის მაინც არ არის ათვლის უდავო წერტილი. უნდა განისაზღვროს მისი გამოყენების წინაპირობები, თანაც ეს უნდა დაეყრდნოს რუსულ თვითიდენტიფიკაციას, რომლის საფუძველი აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაპირისპირებაა. ამგვარად, ეს წიგნი ემატება იმ ნაშრომებს, რომლებიც კი შექმნილა ევროპის არსისა და მნიშვნელობის გააზრებისათვის. რუსი მოაზროვნეების ამოჩემებული კითხვა – არის თუ არა რუსეთი ევროპა – გვაყენებს იმ აზრზე, რომ მისი პასუხი მეცნიერების ისტორიაში ვეძებოთ.

ჩვენი პოზიცია რევოლუციური სულაც არის. ვცდილობთ, გავერკვეთ სინონიმურია თუ არა „ორგანული“ და „სტრუქტურული“ ტრუბეცკოსა და იაკობსონის ტექსტებში. ისინი ხშირად იყენებენ სიტყვა „ორგანიზმს“. ჩვენ გვანტერესებს ეს მეტაფორა, თუ მათი აზროვნება მართლა ბიოლოგიას ეფუძნება. გვინდა ვაჩვენოთ პრალულ სტრუქტურალიზმში და განსაკუთრებით მის სახელმძღვანელო რუს წარმომადგენლებში როგორ იქმნებოდა, როგორი ტანჯვით იზადებოდა *მთლიანობის* რომანტიკული ცნებიდან *სტრუქტურის* ცნება მესამე ცნების – *ორგანიზმის* ფონზე. სტრუქტურალისტების იმდროინდელი ბელადების განცხადების მიუხედავად, რომ ისინი ემიჯნებოდნენ წინარე ტრადიციას, ჩვენ ვხედავთ, ერთი კონცეპტუალური სამყარო თანდათანობით როგორც შორდება მეორეს. სიახლე მეცნიერებაში დეკლარაციებით არ ხდება და არ აისახება თანამედროვეთა შემეცნებაზე. ძველ ტრადიციასთან დაშორების გამოცხადება მასთან ნამდვილად დაშორებას არ ნიშნავს. ორ ომს შორის პრალაში მომხდარი სტრუქტურალისტური რევოლუცია სულაც არ არის ისეთი გადამწვეტი ეპისტემოლოგიური დაშორება (*coupure*), როგორც ამის დახატვა უნდათ. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ 20-30-იან წლებში ვხედავთ ორგანიციისტული მეტაფორის სტრუქტურალისტურ აზროვნებაში ნელი და რთული გარდაქმნის ყველა კონფუსიას. ჩვენ შევისწავლით სწორედ ამ დაძაბულობას, რომელიც წინ უძღოდა დაჩქარებას, ცნებითი აპარატის თანდათანობით ჩამოყალიბებას, არასტაბილური წონასწორობის მომენტს როგორც ცნობილი ატრაქციონის „ამერიკული მთების“² ყველაზე სარისკო წერტილს.

2. ნაშრომის ავტორი ამ ატრაქციონს „რუსულ მთებს“ უწოდებს. ქართულად გადმოტანილია ქართული გარემოსთვის უფრო ცნობილი სახელით (თ. ბ.)

ის, რომ *სტრუქტურის* ცნება მომდინარეობს *ორგანიზმის* ცნებისგან, ახალი არ არის. ამაზე უკვე წერდნენ კასირერი³ და კოერნერი.⁴ ჩვენ ძირითადად შევეჩერდებით ამ გარდაქმნის აღმოსავლეთევეროპულ წყაროებზე.

ამ დროს (ორ ომს შორის პერიოდში) ამ ადგილს (ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას) განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ისტორიისათვის. სამწუხაროდ, ამაზე ფრანკოფონიულ (ფრანგულენოვან) სამყაროში ძალიან ცოტა იციან. მაგალითად, ფრანსუა დოსისთვის (დოსი 1901) *სტრუქტურალიზმის* ისტორია შემოიფარგლება 50-70-იანი წლების პრალელი ინტელექტუალებით, ხოლო „უნივერსალური ფილოსოფიური ენციკლოპედიის“ (1990) შემდგენლებისთვის „სტრუქტურალისტური მოძრაობა“ – ეს არის აზროვნების წინსვლა, რომელმაც თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია საფრანგეთში 60-იან წლებში.⁵

ამიტომაც ვუსვამთ ხაზს ცენტრის მოშლას (*დეცენტრაციას*) და ცენტრების შერევას: *სტრუქტურალიზმი* არ არის მხოლოდ 60-იანი წლების პარიზი, არამედ 20-30-იანი წლებში პრალიდან ვენამდე შექმნილი მეტაფორა, რომელიც მეცნიერების ერთი დარგიდან მეორეში გადადის (ძირითადად გეოგრაფიიდან და ბიოლოგიიდან ენათმეცნიერებაში); ეს არის განმანათლებლობასა და რომანტიზმს შორის ძველი დავის განახლებისა და გადააზრების გრძელი გზა; ეს არის აღმოჩენებისა და გაუგებრობების თამაში, რომელშიც გერმანული იდეალიზმს და ნეოპლატონიზმს ხელახლა გადააზრებენ რუსული ემიგრაციის მეცნიერები. ეს ის სწავლულები არიან, რომლებმაც რუსეთიდან თავიანთი მესხიერებით წამოიღეს „რუსული მეცნიერება“. ეს არის ორ ომს შორის პერიოდის ინტელექტუალური სამყარო, რომელშიც მთლიანობის ფილოსოფიური გაგება წინააღმდეგობრივ და ბუნდოვან მიმართებაშია ტოტალიტარიზმის იდეოლოგიურ გაგებასთან, რომელშიც სისტემების, კულტურებისა და მეცნიერების დარგების დახშულობისა და ღიაობის საკითხი ეჯაჭვება პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხს. როგორც ჰუმანური, ისე მეცნიერული ღირებულების კრიზისის პერიოდში – *სტრუქტურის* ცნებისა და მთლიანობის ცნების კავშირმა დააყენა კოლექტიური არსებების ონტოლოგიური სტატუსის საკითხი, გამოაღვიძა ისტორიის ფილოსოფიასა და დეტერმინიზმის შესახებ მსჯელობა. აი ამიტომ ვეცდებით ყურადღებით გადავიკითხოთ ტექსტები, რომლებსაც ხშირად ახსენებდნენ, მაგრამ იშვიათად კითხულობდნენ. ამას უნდა მოჰყვეს არა მარტო ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ახლებური გაშუქება, არამედ მეცნიერებისა და იდეოლოგიის, მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევის

3. კასირერი 1945

4. კოერნერი 1978:701

5. Ehyclopedie philosophique universelle, Philosophie générale, t. 2. PUF, 2468.

შესავალი

კულტურის ურთიერთდამოკიდებულების, ასევე ენათმეცნიერების ობიექტის – ენის როგორც „სისტემად“ ან „სტრუქტურად“ განხილვის ახლებური გაშუქებაც.

ეს წიგნი დაიბადა რუსეთში ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა წარმომადგენლებთან ხანგრძლივი დიალოგის შედეგად. თუ ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ მეცნიერების დარგების შედარება რუსეთსა და დასავლეთში, ამის მიზეზი პირადი გამოცდილებაა – მუდმივი უხერხულობა, რასაც იწვევდა რუსი კოლეგების დაჟინებული მტკიცება, თითქოს ყველა სამეცნიერო თეორია რელატიურია. საიდან მოდის ამდენი რუსი ინტელექტუალის აზროვნების ლაიტმოტივი: „ჩვენი მეცნიერება სხვაა“, „ჩვენ თქვენ ვერ გავგიგებთ“.

ტრადიციაზე უფრო მეტია რუსული ჰუმანიტარულ მეცნიერებებსა და განსაკუთრებით ენათმეცნიერებაში ფესვგადგმული ლოკალური, ნაციონალური ეპისტემოლოგიური სპეციფიკის ცნება. ჩვენ ახლა ვადგებით ძალიან უცნაური ობიექტის ძიების გზას. ეს არის კულტურული თვალსაზრისით ლოკალიზებული რუსული ეპისტემა, რომელზეც ასე თუ ისე მუდმივად საუბრობენ რუსეთში.

სამი დიდი ენათმეცნიერი

ყველა ზემოთ ხსენებული საკითხის განხილვის მიზნით, ჩვენ შევჩერდებით ენათმეცნიერთა და მათ საკვლევ ობიექტს შორის მიმართებაზე. ორ ომს შორის პერიოდი ჩვენთვის არის შორეულიც და ახლობელიც: ეს არის სტრუქტურული ენათმეცნიერების წარმოქმნის, ვერსალის ხელშეკრულებიდან ევროპის დაბადების, რუსეთში ბოლშევიკური რევოლუციის ხანა. ეს პერიოდი არის გასაღები თანამედროვე ევროპის გასაგებად.

ორ ომს შორის პერიოდს ახასიათებდა მთელი ევროპული ცივილიზაციის ღირებულებათა კრიზისი (გავიხსენოთ ო. შპენგლერი), უპირველესად დემოკრატიის კრიზისი და დრო ახალი გადაწყვეტილებებით საზოგადოების ორგანიზაციის ახალი ფორმების ძიებისა (ეს არის ტოტალიტარიზმის სხვადასხვა ფორმა და „აღორძინების“, „ახალი ადამიანის“ იდეები). ეს არის გარდამტეხი პერიოდი მეცნიერების ისტორიაში. ამ დროს დაემხო პოზიტივიზმი, როგორც შემეცნების გაბატონებული საშუალება, ამ დროს მოხდა დიდი აღმოჩენები – შეფარდებითობიდან ქვეცნობიერამდე, მოდელის ცნებიდან სტრუქტურის გაგებამდე.

არსებობს თუ არა კავშირი ამ ერთი შეხედვით განსხვავებულ დისკურსულ და ფაქტობრივ მოვლენებს შორის? ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ ვიპოვით ამ კითხვაზე პასუხის დასაწყისს მაინც პრადის ლინგვისტურ წრეში, მის სამ პერსონაჟში, სამ რუს ემიგრანტში, ერთი თაობის სამ ბრწყინვალე

ინტელექტუალში,⁶ რომლებიც იმდენად იდუმალნი იყვნენ, რამდენადაც თვით ეს დრო.

მათ შორის პირველი – *ნიკოლოზ სერგეის ძე ტრუბეცკოი*⁷ (1890-1938) „თავადი პროფესორია“ დასავლეთში იგი ცნობილია არა მხოლოდ როგორც ლინგვისტი. ლინგვისტურ კვლევებთან ერთად იგი მუშაობდა უჩვეულო სახელწოდებების მქონე სფეროებში – ისტორიოგრაფია, კულტუროლოგია, პერსონოლოგია. ეს ის სფეროებია, რომლებიც გარს ეკვრიან პოლიტიკურ, კულტურულ, ფილოსოფიურ ცენტრს და მიისწრაფვიან მთლიანობისაკენ – „ევრაზიულობისაკენ“.



ტრუბეცკოი ერთი შეხედვით პარადოქსული პიროვნებაა. ვენაში ექსპორაქმნილს სიგიჟემდე სძულდა „რომანულ-გერმანული“ ხალხები; სტრუქტურალისტი იყო და კულტურებზე მსჯელობდა როგორც „ორგანულ მთლიანობებზე“. ბოლშევიკებისა და გესტაპოს მსხვერპლს სძულდა დემოკრატია და იმედებს ამყარებდა იმ ქვეყნებზე, რომლებშიც ხალხისა და ნაციის ცოცხალ იდეებს ერთადერთ პარტია გამოხატავდა (როგორც ფაშისტურ იტალიასა და საბჭოთა რუსეთში). რუსეთის მგზნებარე პატრიოტი აღმერთებდა თათართა ურდოს; რელიტივისტი და ყველა კულტურის დამცველი უარყოფდა უკრაინელების უფლებას, რომ ჰქონოდათ თავიანთი კულტურული ენა.

არაერთხელ დამდგარა საკითხი,⁸ რამდენად არის ერთმანეთთან დაკავშირებული ტრუბეცკოის მოღვაწეობის სხვადასხვა სფერო, თუმცა ტრუ-

6. ს. კარცევსკი, ასევე „რუსი პრალელი“ მონაწილეობდა 1929 წელს „თეზისების“ შექმნაში, მაგრამ სხვა მხრივ არ უთამაშია მნიშვნელოვანი როლი პრალის ლინგვისტურ წრეში. ტრუბეცკოი თავის წერილებში მას ძალიან მოკრძალებულად ადგის უთმობდა.
7. ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებულ სტატიებში ტრუბეცკოი თავის გვარს ასეთი ტრანსლიტერაციით გადმოსცემდა: Troubetzkoy. ტრუბეცკოის უცხო ენებზე გამოქვეყნებული ნაშრომებისთვის ჩვენ ვიცავთ ამ ტრანსლიტერაციას, გარდა იმ ნაშრომებისა, რომლებიც ეხება ტრუბეცკოის და სათაურებში გამოყენებულია განსხვავებული ტრანსლიტერაცია (როგორც წესი, ინგლისურენოვან ავტორებთან).
8. იხ. მუნენი 1982:100; ვიელი 1984:43; კლაინერი 1985:99; გასპაროვი 1987:49.

შესავალი

ბეცკო ამის გადაჭრით უარყოფდა.⁹ ამ კავშირების შესწავლა დაგვეხმარებოდა იმის გაგებაში, ნამდვილად არსებობს თუ არა ენათმეცნიერებაში „დასავლური აზრი“; არის თუ არა „რუსული აზრი“ მისი ნაწილი; სტრუქტურალიზმის ვარიანტებში არსებობს თუ არა „აღმოსავლეთევროპული შემადგენელი“;¹⁰ შეიძლება თუ არა ვისაუბროთ რუსულ სტრუქტურალიზმზე (წინა პლანზე – დახშული სისტემები) და დასავლურ სტრუქტურალიზმზე (წინა პლანზე – აბსტრაქციები)?




რომან ოსიპის ძე იაკობსონი (1896-1982)

ის ლინგვისტი, რომელზეც ყველაზე მეტს წერენ. ევროპაში იგი მიღებული იყო როგორც უბრალოდ ლინგვისტი, ამერიკაში – როგორც ამერიკელი ლინგვისტი. იგი უმეტესად ცნობილია ნაშრომებით აფაზიის, ბინარულობის პრინციპის შესახებ, უნივერსალებისადმი განსაკუთრებული ინტერესის, ფონემის, როგორც სიტყვათგანმასხვავებელი თვისებების კონად განსაზღვრის, „კომუნიკაციის სქემის“ გამო. დასავლეთში ძნელად მოიძებნება ისეთი მკვლევარი, რომელიც იფიქრებს იაკობსონის ნაშრომების საკუთრივ რუსულ ასპექტზე. მაგრამ ისიც ნაკლებად უცდია ვინმეს, გარკვეულიყო როგორ თანაარსებობენ მის ნაწერებში ასეთი შეუთავსებელი ფაქტები: თანამედროვეობაზე უარის თქმა დაწყვილებულია ავანგარდის გაღმერთებასთან, ლინგვისტური მიდგომა ევრაზიის ჩაკეტილი სამყაროსადმი, ნატურალისტის შრომა, რომელიც შექმნილია ანტინატურალისტურობის სახელით და მისი გეომეტრიული მიდგომა ენებს შორის სივრცული განაწილებისადმი.

და ბოლოს, ოდნავ მოშორებით დგას არალინგვისტი, რომლის როლი სტრუქტურალიზმის გენეზისში ნაკლებად არის შესწავლილი, – ეს *არის პეტრე ნიკოლოზის ძე სავიცი (1895-1968)*. სავიციმ სათავე დაუდო გეოგრაფიას, რომელიც მას მიაჩნდა „სტრუქტურულ გეოგრაფიად“. მან რუსეთში პირველმა ააგო გეოპოლიტიკური თეორია პირველი მსოფლიო ომის დროს და გააგრძელა ამ თეორიაზე მუშაობა შემდეგ წლებშიც. მისი თეორიის ძირითადი თვისებურება ისაა, რომ ცდილობს სხვადასხვა სფეროებში (კლიმატში, მცენარეების ფესვთა სისტემაში, ენებში...) იზოხაზების

9. ტრუბეცკო 1985:12 (იაკობსონისთვის გაგზავნილი წერილი, 1921 წლის 1 თებერვალი).

10. ასე თვლის ჰოლენშტაინი (ჰოლენშტაინი 1974:8).



პ. სავიცი, ნ. ტრუბეცკოი, პ. სუვიჩინსკი

ძიებას. მისი იდეალი იყო ავტარქიული დახშული სისტემა. ტრუბეცკოსთან ერთად სავიცი იყო *ევრაზიული მოძრაობის* უდავო მეთაური. სავიციმ დიდი გავლენა იქონია იაკობსონსა და ტრუბეცკოიზე და ეს დამსახურებულად უნდა შეფასდეს.

„აღმოსავლეთიდან მოსული იდეები“

ნამდვილად არსებობს თუ არა ენათმეცნიერებაში რუსული *genius loci* ანუ „ადგილის სული“? ყოველ შემთხვევაში, არსებობს რუსული კულტურული საფუძველი ან, როგორც იაკობსონი იტყოდა, „რუსული იდეოლოგიური ტრადიცია“ (ამაზე იხ. ე. ჰოლენშტაინი,¹¹ რომელიც იყენებს ტერმინს *Russische Geistesgeschichte*). თუ ადგილის რუსული სული არსებობს, მაშინ უნდა დავეყრდნოთ ლინგვისტური ტრადიციების *თანაფარდობას* ან, უფრო ზუსტად, შედარებითობის ფუნდამენტურ გაგებას, რომლის გარეშეც სამეცნიერო მუშაობა წარმოუდგენელია. ჩვენ ვაწყდებით საფრთხეს, რომელსაც ჩვეულებრივ ვერც კი ვამჩნევთ – *კულტურული სოლიპისზმის* საფრთხეს, რომელიც გამოხატულია ორი ფორმით – ურთიერთდაპირისპირებული, მაგრამ ურთიერთდამატებითი: ეს ფორმები აშკარადაა გამოკვეთილი რუსეთში („ჩვენი მეცნიერება განსაკუთრებულია“), მაგრამ უჩინრად არსებობს დასავლეთშიც (ჩვენი მეცნიერება არის სწორედ *მეცნიერება როგორც ასეთი* (la science). ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ეპისტემოლოგიური

11. ჰოლენშტაინი 1984:22.

შესავალი

იზოლაციონიზმი ერთი და იგივეა. გინდა ის გიმტკიცებია, რომ „რუსეთს ვერ გაიგებ, თუ რუსი არა ხარ“ და გინდა ევროპაცენტრისტულ პოზიციებზე მდგარხარ, რომელიც რუსეთში ენათმეცნიერების არსებობასაც კი უარყოფს. ამ ორ წყალქვეშა კლდეს შორის ჩვენ შევეცდებით ვიპოვოთ შესადარებელი ელემენტები და შევიმუშავოთ მათი შედარების მეთოდები. ჩვენ გვინდა ავაგოთ შედარებითი ენათმეცნიერება „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის“ დარად. ასეთი შედარების მიზანი იქნებოდა ერთი რომელიმე ტექსტის გაგება სხვა ტექსტის საშუალებით; არა რომელიმე ავტორის ან სკოლის შესახებ მონოგრაფიის შექმნა, არამედ მათი განხილვა განიცხრილში. დასავლეთში სლავისტად ყოფნა ნიშნავს ორ სამყაროს შორის გადამზიდავად მუშაობას, ყოველ შემთხვევაში ორ სამეცნიერო სამყაროს შორის გადამზიდავად ყოფნას ნამდვილად ნიშნავს. ეს მოითხოვს გაცნობიერებულად სადავო გავხადოთ „აბსოლუტური თვითმყოფადობის“ ცნება, რომელიც ასე ესალბუნება თანამედროვე რუსი ნეოსლავიანოფილების გულს (კულტურული რელატივიზმის გამო ერთ კულტურას ვერ ექნება ურთიერთობა მეორესთან) და გულუბრყვილო უფიცობა, რომელიც ვერ ასხვავებს სამეცნიერო ტექსტის დამოწმებასა და თვით სამეცნიერო კრიტიკრიუმებს და, რა თქმა უნდა, ეჭვი უნდა შევიტანოთ რუსული ინტელექტუალური სამყაროს „დასავლურ კულტურასთან“¹² დაუფიქრებელ აღრევამი.

დასავლეთში ძალიან გავრცელებულია სტრუქტურალიზმის ისტორიის ნაზოვან ევოლუციად წარმოდგენა სოსიურიდან ლევი-სტროსამდე და როლან ბარტამდე, რომლის გარდამავალი რგოლებია 20-30-იანი წლების პრალა და კოპენჰაგენი. 1990 წელს პარიზში გამოსული „უნივერსალური ფილოსოფიური ენციკლოპედიის სტატიის – „სტრუქტურალიზმი ენათმეცნიერებაში“ – ერთ-ერთ თავში „დასავლური ფილოსოფია“ – არის ასეთი მტკიცება:

ტერმინი „სტრუქტურალიზმი“ შესაბამის მეთოდოლოგიასთან ერთად ჩნდება. მისი საფუძვლები შეიქმნა 1906-1911 წლებში. ეს

12. ამა თუ იმ თეორიის სხვა ქვეყნებში გავრცელება ზოგჯერ სრულიად შემთხვევითი გარემოებებითაა განპირობებული. ასე მაგალითად, ბოდუენ დე კურტენე გაცილებით ადრე იყო ცნობილი იაპონიაში, ვიდრე დასავლეთ ევროპაში იმიტომ, რომ მისმა მოწაფემ ე. დ. პოლივანოვმა შეაქო იგი თავის კოლეგასთან ძიმბოსთან, რომელმაც შემდეგ დაიწყო ბოდუენ დე კურტენეს მოძღვრების პროპაგანდა, თუმცა ეს პროპაგანდა ძიმბოს ინტრეპრეტაციას ეფუძნებოდა (შდრ. ტრუბეტკოი 1933ბ, დამოწმებულია პარინანტის მიხედვით (პარინანტი 1969:146). ამ დროს ფრანგულ ენაზე არ არსებობს ბოდუენ დე კურტენეს შრომათა კრებული, ინგლისურად კი მხოლოდ ერთია. შდრ. სტანკევიჩი 1972).

იყო ერთგვარი პროტესტი ისტორიული გრამატიკის პოზიტივიზმის მიმართ. 30-იან წლებში ტრუბეცკოი და იაკობსონი (პრალაში), ბლუმფილდი და სეპირი (აშშ-ში) გამოყოფენ მინიმალურ სიტყვათგანმასხვავებელ ერთეულებს („ფონემებს“). პირველი სამი თავიანთ პოზიციებს სოსიურისეულ მიდგომაზე აფუძნებს¹³ (ტ. 2:2470).

ამგვარად, იაკობსონი გამოცხადებულია სტრუქტურალიზმის ერთ-ერთ „მამა-დამფუძნებლად“. ზუსტად ასევე ტრუბეცკოი დასავლეთში კარგად ცნობილი სერბი მკვლევარი ქალის ნაშრომში მხოლოდ სოსიურის გამგრძელებლად მოიხსენიება:

ტრუბეცკოი ფონოლოგიური იდეალების ფორმულირებისას შთაგონებული იყო „თეორიული ენათმეცნიერების კურსის“ ბრწყინვალე ფორმულირებებით: ენას აქვს სოციალური ფუნქცია: ენა არის სისტემა; ბგერითი ერთეულები ენის ერთეულებია, რომელთა საშუალებითაც ხდება ურთიერთობა (ივიჩი 1970:135).

მხოლოდ იშვიათად აღინიშნება რუსების ან აღმოსავლეთევროპელების წვლილი სტრუქტურალიზმის შექმნაში. მაგალითად, კოლექტიური ნაშრომის – „ენის“ შესავალში მარტინე ამტკიცებს:¹⁴

აქ მოცემული თვალსაზრისი იმ სააზროვნო ტრადიციის ნაწილია, რომელიც სათავეს იღებს ფ. დე სოსიურის უნევეური ლექციებიდან, თუმცა გამდიდრებულია აღმოსავლეთ ევროპიდან მოსული იდეებით (მარტინე 1968:XI).

მეორე მხრივ თუ შევხედავთ, სურათი მთლიანად შეიცვლება: ტრუბეცკოი იაკობსონისადმი¹⁵ მიწერილ წერილში „სრულიად აღმაშფოთებელ“ ფაქტს უწოდებს იმას, რომ ა. მაზონი ცდილობს სოსიუსის იდეები დაინახოს იაკობსონის წიგნში „შენიშვნები რუსული ენის ფონოლოგიური ევოლუციის შესახებ“:¹⁶ უფრო მეტიც, ინგლისიდან დაბრუნებული შეურაცხყოფილი იყო იმით, რომ მას და იაკობსონს მარტივად მიაკუთვნებდნენ „სოსიურის სკოლას“: „ეს ცოტათი გვენებს ჩვენ“; – წერდა ტრუბეცკოი.¹⁷

13. დაყოფა ავტორისეულია (პ. ს.).

14. მარტინე 1968.

15. ტრუბეცკოი 1985:189 (წერილი იაკობსონისადმი, 1931 წლის 28 იანვარი).

16. იაკობსონი 1929.

17. ტრუბეცკოი 1985:299 (წერილი იაკობსონისადმი, 1934 წლის მაისი). შდრ. ვიელი 1984:51 და შემდეგი.

შესავალი

30-იან წლებში იაკობსონის ერთ-ერთი დაჟინებული მტკიცება ისაა, რომ იგი ხაზს უსვამს სპეციფიკურ „სივრცულ ფაქტორს“ რომელიც, მისი თვალსაზრისით, განაპირობებს არა მხოლოდ ენებს შორის ურთიერთობას, არამედ სამეცნიერო კვლევის კულტურებს შორის სხვაობასაც: „რუსულ თეორიულ აზრს ოდითგან ახასიათებს ზოგიერთი სპეციფიკური ტენდენცია (იაკობსონი 1925ბ:23).

ტრადიციები

ასეთი გაუგებრობები ნამდვილად შესასწავლია. ეს მხოლოდ ერთი და იგივე აზრის განსხვავებულად გადმოცემა არ არის. სწორედ ამაზე და მოკიდებული მთლიანად სტრუქტურალიზმის გაგება.

ლინგვისტური ცოდნის გადმოცემაში რუსულ და დასავლურ საშუალებებს შორის სხვაობას ართულებს ისიც, რომ როგორც რუსეთში, ისე დასავლეთ ევროპაში ენათმეცნიერების ისტორიაში დაჟინებით გამოიყენება საერთო ტერმინი „ტრადიცია“¹⁸ თვით ეს სიჯიუტე გვაფიქრებინებს, რომ აქ პოზიციები ისე გამოკვეთილად არ არის ჩამოყალიბებული, როგორც გვეჩვენება.

მას შემდეგ რაც ფუკოს შრომებმა ქვა ქვაზე არ დატოვა ტრადიციის გაგებიდან,¹⁹ მხოლოდ ვაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ეს ტერმინი ისევ ცოცხლობს ენათმეცნიერების ისტორიაში, ყოველ შემთხვევაში არატერმინოლოგიური გამოყენებით, როგორც იმთავითვე თვალსაჩინო და გასაგები. ფუკო, როცა „იდებების ისტორიას“ ცლიდა გაურკვეველი ობიექტებისაგან, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ უკონტროლოდ შეიძლება ტრადიცია ვუწოდოთ სრულიად განსახვავებულ კულტურულ ერთობებს, მათი ლინგვისტური კვლევის საშუალებებს, რომლებიც, თავის მხრივ, განაპირობებულია

18. უნდა აღვნიშნოთ, რომ სიტყვა „ტრადიცია“ განასხვავებს ზუსტ მეცნიერებებსა და ჰუმანიტარულ დარგებს: ვინმეს თავში მოუვა, რომ ისაუბროს „ტრადიციაზე“ ბირთვულ ფიზიკაში ან მოლეკულურ ბიოლოგიაში? ამის საპირისპიროდ, ადამიანისა და საზოგადოების შემსწავლელ მეცნიერებებში მიმართება იდეოლოგიას, კულტურასა და მეცნიერებას შორის ძალიან ჩახლართულია. საექვო ცნების „რუსული მეცნიერების“ დამსახურებაა ის, რომ ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ ამ სხვაობას.

19. შდრ. ფუკო 1969:3-33.